დანართი № 1.

ელექტრონული საკომუნიკაციო კანალიზაციის არხებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე და სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილების რესურსთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ 2014 წლის 06 ნოემბერს მიღებული გადაწყვეტილების და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2015 წლის 02 თებერვლის 08/141-15 წერილის საფუძველზე, სს „სილქნეტის" 2012 წლის 01 ნოემბრის ელექტრონული საკომუნიკაციო კანალიზაციის არხებთან დაშვებისა და 2011 წლის 01 აპრილის სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილების ფართოზოლოვან რესურსთან დაშვების შეთავაზების წინადადებებში (მოწვევის ოფერტებში) შევიდა შემდეგი სახის ცვლილებები:

1. *შეიცვალა სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილების ფართოზოლოვან რესურსთან დაშვების შესახებ შეთავაზების წინადადების (მოწვევის ოფერტა) დასახელება და განისაზღვრა შემდეგნაირად:*

   „სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილების რესურსთან დაშვების შესახებ შეთავაზების წინადადება (მოწვევის ოფერტა)"

2. *დანართის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ცვლილება გავრცელდა სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილების რესურსთან დაშვების შესახებ შეთავაზების წინადადების მთელ ტექსტზე.*

3. *შეიცვალა ელექტრონული საკომუნიკაციო კანალიზაციის არხებთან დაშვების ტარიფები (შესაბამისი ოფერტის დანართი №2) და განისაზღვრა შემდეგნაირად:*

დანართი №2 - სს "სილქნეტის" ელექტრონული საკომუნიკაციო კანალიზაციის არხებთან დაშვების ტარიფები (ლარში)

კაბელის დიამეტრი	ტარიფი
15 მმ -მდე	74.00
15 მმ და ზემოთ - 25 მმ ჩათვლით	123.33
25 მმ ზემოთ - 35 მმ ჩათვლით	185.00
35 მმ ზემოთ	370.00

შენიშვნა: ზემოთ მითითებული ტარიფები განისაზღვრება 1 თვეზე 1 კმ სიგრძის კაბელისთვის და მოცემულია დღგ-ს გარეშე.

4. შეიცვალა სპილენძის საბადონენტო სახაზო-საკაბელო წყვილების ფართოზოლოვან რესურსთან დაშვების ტარიფები (შესაბამისი ოფერტის მუხლი 3) და განისაზღვრა შემდეგნაირად:

   მუხლი 3. სახაზო-საკაბელო საბადონენტო წყვილის რესურსთან დაშვების ტარიფი შეადგენს 2.20 ლარს თვეში (დღგ-ს გარეშე);

5. შეიცვალა ელექტრონული საკომუნიკაციო კანალიზაციის არხებთან დაშვების შეთავაზების წინადადების (მოწვევის ოფერტა) 1-ლი მუხლის 1.1. პუნქტი და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

   1.1. მომსახურებების მიწოდების ვალდებულება „სილქნეტს" დაეკისრა საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში არსებულ ყველა ადგილობრივი მომსახურების ზონაში (გარდა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებისა, სადაც დროებით ვერ ვრცელდება საქართველოს ხელისუფლების იურისდიქცია).

6. გაუქმდა ელექტრონული საკომუნიკაციო კანალიზაციის არხებთან დაშვების შეთავაზების წინადადების (მოწვევის ოფერტა) მუხლი 2.

7. შეიცვალა სპილენძის საბადონენტო სახაზო-საკაბელო წყვილების რესურსთან დაშვების შეთავაზების წინადადების (მოწვევის ოფერტა) 1-ლი მუხლი და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით :

   1. მომსახურებების მიწოდების ვალდებულება „სილქნეტს" დაეკისრა საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში არსებულ ყველა ადგილობრივი მომსახურების ზონაში (გარდა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებისა, სადაც დროებით ვერ ვრცელდება საქართველოს ხელისუფლების იურისდიქცია).

8. გაუქმდა სპილენძის საბადონენტო სახაზო-საკაბელო წყვილების რესურსთან დაშვების შეთავაზების წინადადების (მოწვევის ოფერტა) 1-ლი მუხლის 1.1.-1.5. პუნქტები და მუხლი 2.

9. გაგრძელდა სს „სილქნეტის" ზემოაღნიშნული შეთავაზების წინადადებების (მოწვევის ოფერტების) მოქმედების ვადა ერთი წლით, 2016 წლის 01 იანვრამდე.

10. ზემოაღნიშნული ცვლილებები ძალაშია 2015 წლის 01 იანვრიდან.